



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 9 21 0000865598



06/09/2021

შემოქმედებითი აზროვნების დამოუკიდებელი მოდულის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 31 აგვისტოს №840603 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს №680/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს დამოუკიდებელი მოდული - „შემოქმედებითი აზროვნება“ (სარეგისტრაციო ნომერი 0030005) - ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული დამოუკიდებელი მოდულის - „შემოქმედებითი აზროვნება“ - ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღე.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურთან კოორდინაციით ამ ბრძანებისა და მისი დანართის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
4. დაევალოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თარიღის შესაბამის ველში ამ ბრძანების გამოცემის/ძალაში შესვლის

თარიღის, ასევე ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული დამოუკიდებელი მოდულის ძალაში შესვლის თარიღის მითითება და ამ სახით ბრძანების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.

5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

